

# გერმანია

- გერმანიის მიმართულებით გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების მისამართის განსაზღვრა ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის წარმომადგენელსა (კურიერს) და ადრესატს შორის სატელეფონო საუბრის შედეგად შეთანხმებულ ადგილზე, შემდგომი პროცედურის დაცვით:**
  - სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისამდე ტრანსპორტირების შემდგომ, აგენტი ოფისის წარმომადგენელი(კურიერი) აუცილებელი წესით ახდენს სატელეფონო კომუნიკაციას ადრესატთან, რომელთანაც აზუსტებს გზავნილის ჩაბარების ადგილსა და დროს და მხოლოდ ამის შემდგომ ახორციელებს ვიზიტს. კურიერის მიერ შეთანხმებულ მისამართზე ვიზიტი ხორციელდება ერთჯერადად. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხდება გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება, კურიერი აბრუნებს გზავნილს აგენტის ოფისში. ამის შემდგომ, ადრესატს შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ სახმელეთო ამანათის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს სახმელეთო ამანათი.**
- გერმანიის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:**

ქალაქი	ჩაბარების ვადა
შტუტგარტი, მანჰეიმი, დიუსელდორფი, კელნი, ბონი, მიუნჰენი, ფრანკფურტი, ნიურნბერგი, ფრაიბურგი, კარლსრუე	14 კალენდარული დღე
ჰანოვერი	15 კალენდარული დღე
ბერლინი, ჰამბურგი	16 კალენდარული დღე

- გერმანიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების და გზავნილების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:**

N.	აგენტის ოფისი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები	ქალაქები სადაც ბარდება გზავნილები

1.	შტუტგარტი	Veielbrunnenweg 47	+4915216843620 +995 551 232434  (Viber. Whatsapp)	ოთხშაბათი -12: 00სთ-დან -17: 00სთ-მდე ხუთშაბათი -12: 00სთ-დან -17: 00სთ-მდე პარასკევი -12: 00სთ-დან -17: 00სთ-მდე შაბათი--12: 00სთ-დან -17: 00სთ-მდე	შტუტგარტი; ბერლინი; ჰამბურგი; მანჰეიმი; <u>დიუსელდორფი</u> ; კელნი; ბონი; მიუნჰენი; ფრანკფურტი.
2	ნიურნბერგი	Äußere Bayreuther Str.48 90491 Nürnberg	+491639600954; +4915259716576 +393292080402	ოთხშაბათი-12:00სთ-დან-16:00სთ-მდე, პარასკევი -12:00სთ-დან-16:00სთ-მდე	ნიურნბერგი; ფრაიბურგი; კარლსრუე; ჰანოვერი; <u>დიუსელდორფი</u> ; კელნი; ბონი; მიუნჰენი; ფრანკფურტი.

**გასათვალისწინებელია:** სახმელეთო ამანათი იგზავნება მხოლოდ ცხრილში მითითებულ ქალაქებში, გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება არ ხორციელდება აღნიშნული ქალაქების მეზობელ, მოსაზღვრე ან/და ახლოს მდებარე სხვა რომელიმე ქალაქში.

- გერმანიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება გამოითვლება ფაქტიური წონისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1 კგ-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 5 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი/ადრესატი იხდის ფიქსირებულ - 5 კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.
- გერმანიის მიმართულებით მედიკამენტების გაგზავნა არ ხორციელდება.